

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება - ფრანგული ფილოლოგია
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის ბაკალავრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი
4. სწავლების ენა - ქართული
5. პროგრამის ხელმძღვანელები
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - რუსუდან გაჩავა
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - ქეთევან გალობერი

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში ან/დალიტერატურაში. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე სემესტრიდან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

**”Mieux vaut la tête bien faite qu’une tête bien pleine”
(Michel de Montaigne)**

აზრი, გამოხატული ეპიგრამაში, ფორმულირებულია ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში. განათლება უნდა იყოს მიმართული არა ცოდნის დაგროვებისკენ, არამედ მისი ორგანიზაციისკენ მთავარ სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში. ის ეყრდნობა ოთხ, თავისი ფორმულირებით მარტივ პოსტულატს:

- ვისწავლოთ ცოდნის მოპოვება
- ვისწავლოთ ცოდნის გამოყენება
- ისწავლოთ არსებობა
- ვისწავლოთ თანაარსებობა ჩვენს ირგვლივ არსებულ გარემოსთან ერთად.

ფრანგული ენის სწავლების მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტის კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირება, ანუ ფრანგული ენის გამოყენების შესაძლებლობა, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობის (ყოველდღიური და საქმიანი), ასევე სამყაროს აღქმისა და თავისი კულტურის

პოპულარიზაციის საშუალება. კომუნიკაციური ფუნქცია ახდენს სწავლების საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და განმავითარებელი ასპექტების ინტეგრირებას პრაქტიკული კომპონენტის წამყვან როლთან ერთად.

უცხოური ენების გამოყენება კომუნიკაციური მიზნების თვალსაზრისით ითხოვს ენობრივი, სამეტყველო და სოციოკულტურული კომპეტენციების განსაზღვრულ დონეს, რომელთა გამოც ჩნდება უცხო ენების სწავლების, როგორც საკუთარი ქვეყნის, ასევე შესასწავლი ენის ქვეყნის, ან ქვეყნების საზოგადოებრივი სპეციფიკისა და კულტურული ცხოვრების ერთობლიობაში შესწავლის აუცილებლობა.

ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს კომპლექსურად და საფუძვლიანად შეასწავლოს ფრანგული ენის ასპექტები, ენის თეორია და ფრანგული ლიტერატურის ისტორია და მისი განვითარების ტენდენციები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანია, ფილოლოგიის დარგში ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე, მოამზადოს იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი, რაც მას შემდგომში გაუადვილებს დასაქმებას და საზოგადოების წარმატებულ წევრად აქცევს.

ფრანგული ენის თეორიული და პრაქტიკული კურსის წარმატებით განხორციელება მოითხოვს სასწავლო პროცესის წარმართვისა და მისი კონტროლის ოპტიმალური ფორმების შემუშავებას ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების ხერხების და საშუალებების გამოყენებით, რომელთა ერთობლიობამ უნდა უზრუნველყოს სწავლების პროცესის ინტენსიფიკაცია და ენის სწავლების ყველა მიზანთა რეალიზაცია.

დასმული მიზნების რეალიზაციას ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის კომუნიკაციური და პროფესიონალური მიმართულება: სააუდიტორიო, საშინაო, ლაბორატორიული მუშაობა, სხვადასხვა სახის ტექსტების თემატური მრავალფეროვანება, დიალოგების შედგენა და წარმოება, თარგმანის პრინციპების ცოდნა და სხვა. პროგრამის მიზანია არა მარტო თეორიული ცოდნის დაუფლება (რაც აუცილებელია კურსდამთავრებულის შემდგომი სწავლისათვის მაგისტრატურაში), არამედ აზროვნების, სისტემის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და ადაპტაციის უნარის გამომუშავება.

ამგვარად, ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - მაღალხეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადებას გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული შეიარაღებულია ფრანგული ფილოლოგიის სფეროს ფართო ცოდნით, მასში შემავალი კომპლექსური საკითხების გაცნობიერების კუთხით. კურსდამთავრებული ფლობს ფრანგული ფილოლოგიის ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; დაუფლებულია ფრანგული ენის B2 დონეს, რაც ნიშნავს ენის ცოდნისა და უნარ-ჩვევათა ისეთ მოცულობასა და დონეს, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად, ნორმატიულად, გამართულად და ფუნქციონალურად ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა;

- იცის ფრანგული ენა, მისი შემადგენელი ერთეულები, ერკვევა ფრანგული ენის გრამატიკის სისტემაში, მის კატეგორიებსა და თეორიებში; იცის ენობრივ ერთეულთა წარმოების წესები და გრამატიკის პრინციპები;
- იცის ფრანგული ენის ლექსიკური ერთეულების სპეციფიკური თვისებები, თავისებურებები და მახასიათებლები და ერკვევა მათი განვითარების ძირითად ტენდენციებში;
- ფლობს ფრანგული ენის B2 დონეს, რაც გულისხმობს: აბსტრაქტულ და კონკრეტულ თემებზე შედგენილი რთული ფრანგულენოვანი ტექსტების საერთო შინაარსის ცოდნას, მათ შორის ვიწროსპეციალური ტექსტების, სხარტ და სპონტანურ საუბარს, მუდმივი კონტაქტს ენის მატარებლებთან ყოველგვარი სირთულის გარეშე, ზუსტი, ყოვლისმომცველი მოხსენებების კეთებას სხვადასხვა თემებზე და საკუთარი ხედვის და აზრის გამოხატვას არსებულ პრობლემაზე, კომპეტენციების ფლობას ვერბალური კომუნიკაციის ოთხი ფორმით: კითხვა, წერა, ზეპირმეტყველება და მოსმენა-აუდირება;
- ენების ნაღესაობის კუთხით ერკვევა რომანული ენების წარმოშობასა და მათი განვითარების ისტორიაში, განვლილი აქვს რომანული ფილოლოგიის შესავალი კურსი;
- ფრანგული ენის ისტორიის კუთხით იცის ფრანგული ენის წარმოშობისა და ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპები: ერკვევა ფრანგული ენის წარმოშობის პერიოდებში: პრეისტორიული, ძველფრანგული ენის, საშუალოფრანგული ენის, კლასიკური ფრანგული ენისა და ახალფრანგული ენის პერიოდში;
- ერკვევიან ფრანგული ენის გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის თეორიულ ასპექტებში, გავლილიაქვთ თეორიული გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის კურსები;
- კურსდამთავრებულმა იცის ფრანგული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები: შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის, ბაროკოს, კლასიციზმის და განმანათლებლობის, რომანტიზმის, რეალიზმის, სიმბოლიზმის ფრანგული ლიტერატურის ისტორია, ასევე ერკვევა მოდერნისტულ დათანამედროვე რომანში, იცი სფრანგული პოეზია და დრამატურგია. იცნობს ფრანგი ავტორების შემოქმედებას, იცის მათი ნაწარმოებების სტილისტური მახასიათებლები; ერკვევა სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებში,
- დაუფლებულია ტექსტების ლინგვისტურ და ლიტმცოდნეობრივ ანალიზის ძირითად მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს თანამედროვე ფრანგული ენის როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევები პრაქტიკული გრამატიკის, ფონეტიკის, ანალიზური კითხვის, საშინაო კითხვის, საუბრის ხელოვნების, თემებზე მუშაობის, პრესის ენის, წერის პრაქტიკის სწავლების მემწეობით, ისე კოგნიტიური /შემეცნებითი/ უნარ-ჩვევები, რომელიც მიიღწევა თეორიული სასწავლო კურსების სწავლით. კურსდამთავრებულს შეუძლია ფრანგული ენის პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, ფლობს საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევებს, შეუძლია ფრანგულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, მოსმენა, გაგება, თარგმანი, ანალიზი, ინტერპრეტაცია, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება, არგუმენტირებულად გადმოცემა; ფრანგულენოვანი ტექსტების რეფერირება-რეცენზირება, ანალიზი; ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა, ანალიზი.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს ფრანგული ფილოლოგიის დარგში ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გამომუშავებული აქვს პრობლემათა გადაჭრის ჩვევები; შეუძლია პროფესიულ სფეროში სიახლეების კრიტიკულად შეფასება და ანალიზი, მათი საშუალებით პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესება; სწავლის მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება ფრანგული ფილოლოგიის სფეროში დაგეგმვის, სწავლის პროცესის წარმართვის, შემოწმება-შეფასების, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანისა და ანგარიშის შედგენის კუთხით; ასევე, შეუძლია იმსჯელოს, გამოთქვას კრიტიკული აზრი ან განიხილოს ესა თუ ის საკითხი სხვადასხვა ენობრივი ფორმების და მეთოდების გამოყენებით. ენის შემსწავლელი თავისუფლად ორიენტირებს ორიგინალურ ტექსტში, ახდენს მის ინტერპრეტაციას, აყალიბებს დასრულებულ აზრს და გამოაქვს ლოგიკური დასკვნა.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაციის მომზადება და მისი ზეპირი წარმოდგენა; აქვს ფრანგული ენის ცოდნა **B2** დონეზე; კრიტიკული აზროვნება, მოცემულ სიტუაციასთან ადაპტირება, ცოდნის ინტეგრირება, ანალიზი და ინტერპრეტაცია, ტექნოლოგიური უნარები - ლინგოფონის კაბინეტში მუშაობა, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მოპოვების, პრეზენტაციისა და კომუნიკაბელურობის უნარ-ჩვევები; ლინგვისტური უნარები - ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ჩამოყალიბებული აქვს აკადემიური წერის უნარ-ჩვევები; არამხატვრული ტექსტის სწორად თარგმნის და რეფერირების უნარ-ჩვევები; შეუძლია ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა; ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტექსტების დამუშავება, სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად გამოყენება, მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება, ინტერნეტის სისტემაში ინფორმაციის მოძიების მეთოდების გამოყენება. შეიძინა **მეორე უცხო ენის (ინგლისური, გერმანული ან რუსული)** დონის ენობრივი კონპეტენციები, რის შედეგად მას ესმის ცალკეული წინადადებები და ხშირად გამოყენებული გამოთქმები ცხოვრების ძირითადი სფეროდან (ოჯახი, სამსახური და სხვ.) შეუძლია ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, რაც უკავშირდება მარტივი ინფორმაციის გაცვლას (ყოფით ან ნაცნობ თემებზე), შეუძლია ყოველდღიური ცხოვრების ძირითადი ასპექტების აღწერა.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს მასალის შეგროვების, შესაბამისი წყაროების დიფერენცირებისა და შეფასების უნარები; იცის ფრანგული ენის დახვეწის მეთოდები, შეუძლია ბიბლიოგრაფიულ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა, მათი შეგროვება და შემდგომში მოძიებული მასალის გამოყენება. დამოუკიდებლობა და თვითრეალიზაცია, შინაგანი მოტივაცია, დაგეგმვისა და ორგანიზაციული საქმიანობის, რესურსების ოპტიმალური გამოყენების, გუნდში მუშაობისა და კომუნიკაბელურობის უნარ-ჩვევები.

ღირებულებები - ბაკალავრს აქვს სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება. ბაკალავრი იცნობს ფრანგული ენისა და ლიტერატურის განვითარების წყაროებს და გაცნობიერებული აქვს თანამედროვე მეთოდები და ღირებულებები; აცნობიერებს ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფორმირების პროცესისათვის აუცილებელ მოსაზრებათა გამოყენებას, რომლის საშუალებითაც მიისწრაფვის ღირებულებათა დასამკვიდრებლად. ყოველდღიურ

ცხოვრებაში. შეუძლია ენის როლის შეფასება და ფრანგულის, როგორც მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალების, მნიშვნელობის განსაზღვრა, ასევე სხვადასხვა ჯგუფური ღირებულებების განსაზღვრა; გამომუშავებული აქვს მოლაპარაკებების წარმართვის უნარები. ფრანგული ფილოლოგიის პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტი იძენს სულიერ ღირებულებებს და მუდმივ დიალოგშია საფრანგეთის კულტურასთან, ხელოვნებასთან, ცივილიზაციასთან. გააჩნია ახალი კულტურული სფეროების შესწავლის ათვისების სურვილი; შემოქმედებითი და აქტივისა და ინდივიდუალურობის უნარი; პირადი და სოციალური ღირებულებების ურთიერთკავშირი ახალი საზოგადოებრივი პირობების ადაპტაციის პროცესში. აქტიურად იყენებს და აცნობიერებს მიკრო და მაკრო გარემოს ღირებულებებს თვითგამოკვლევისათვის, უყალიბდება ცხოვრების პირადი მიზნები. სტუდენტი აფასებს გარკვეული ეპოქის კულტურულ კონტექსტს და პარალელურად ავლენს სხვადასხვა ლიტერატურასა და კულტურას შორის. გარდა ამისა, იღებს მონაწილეობას ინტელექტუალური ღირებულებების შექმნაში პედაგოგის ხელმძღვანელობით საკონფერენციო პრეზენტაციებისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის სახით.

9. ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	სათემის რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						6	6	6	3					
ა)	<i>ინგლისური ენა - დამწყებთათვის</i> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
2.	ინგლისური ენა II (PreIntermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							ENGL B 001
3.	ინგლისური ენა III (Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						ENGL B 002
ბ)	<i>უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით</i> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)													
1.	<i>უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2</i>	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	<i>უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1</i>	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	<i>უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2</i>	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013	6	65	85			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012

			RUSS B 013						RUSS B 012					
4.	დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (ფილოლოგია)	ENGL B 024 GERM B 024 FREN B 024 RUSS B 024	3	35	40					3				ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
5.	აკადემიური წერა	ACAD B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
6.	ენათმეცნიერების შესავალი	PHIL B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
7.	საქართველოს ისტორია	HIST B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
8.	კლასიკური ენა /ლათინური/	LAT B101	3	35	40	3								წინაპირობა არ გააჩნია
9.	ფილოსოფიის შესავალი	PHLS B101	3	35	40	3								წინაპირობა არ გააჩნია
ძირითადი (Major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 105 კრედიტი														
1.	ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	PHIL B102	6	65	85		6							წინაპირობა არ გააჩნია
2.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 1 (A1)	FREN B102	9	95	130		9							წინაპირობა არ გააჩნია
3.	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	FREN B101	3	35	40		3							ენათმეცნიერების შესავალი
4.	ლიტერატურის თეორია	PHIL B103	6	65	85				6					ლიტმცოდნეობის შესავალი
5.	ზოგადი ენათმეცნიერება	PHIL B104	6	65	85				6					ენათმეცნიერების შესავალი
6.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 2 (A2)	FREN B103	6	65	85				6					ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 1
7.	ფრანგული ენის თეორიული გრამატიკა	FREN B110	3	35	40						3			ფრანგული ენის ისტორია; ფრანგული ენის ლექსიკოლოგია
8.	ფრანგული ლიტერატურის ისტორია 1	FREN B114	6	65	85				6					საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია
9.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 3 (B1-1)	FREN B104	6	65	85				6					ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 2
10.	ფრანგული ლიტერატურის ისტორია 2	FREN B115	6	65	85				6					ფრანგული ლიტერატურის ისტორია 1
11.	ფრანგული ენის ისტორია	FREN B109	3	35	40						3			ფრანგული ენის ლექსიკოლოგია
12.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 4 (B1-2)	FREN B105	6	65	85						6			ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 3
13.	ფრანგული ლიტერატურის ისტორია 3	FREN B116	6	65	85						6			ფრანგული ლიტერატურის ისტორია 2
14.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 5 (B2-1)	FREN B106	6	65	85							6		ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 4
15.	ფრანგული ლიტერატურის ისტორია 4	FREN B117	6	65	85							6		ფრანგული ლიტერატურის ისტორია 3

16.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 6 (B2-2)	FREN B107	6	65	85							6		ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 5	
17.	თარგმნის თეორია და პრაქტიკა	FREN B111	3	50	25							3		ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 1-5	
18.	ფრანგული ენის ლექსიკოლოგია	FREN B108	3	35	40				3					შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	
19.	საბაკალავრო ნაშრომი	FREN B112	9	75	150							9		პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები	
ძირითადი (Major) სპეციალობის არჩევითი კურსები - 21 კრედიტი															
(სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)															
												3	6+3	3+6	
1.	ფრანგული ენის ვარიანტები /ფრანკოფონია/	FREN B118	3	35	40									წინაპირობის გარეშე	
2.	საფრანგეთის ისტორია	FREN B125	3	35	40									წინაპირობის გარეშე	
3.	ფრანგული ენის პრაქტიკული ფონეტიკა	FREN B119	3	35	40									წინაპირობის გარეშე	
4.	ფრანგული დრამა	FREN B120	3	35	40									წინაპირობის გარეშე	
5.	ტექსტის გრამატიკა	FREN B122	6	65	85									წინაპირობის გარეშე	
6.	ფრანგული ენის სტილისტიკა	FREN B123	6	65	85									წინაპირობის გარეშე	
7.	ევროპული ფრანკოფონული ლიტერატურის ისტორია	FREN B124	3	35	40									წინაპირობის გარეშე	
8.	საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია	FREN B113	6	65	85									წინაპირობის გარეშე	
თავისუფალი კურსები			9						6			3			
(სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)															
დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა			60							12	12	12	12	12	
(დამატებითი (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)															
ს უ ლ - 240 კრედიტი									30	30	30	30	30	30	

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - ფრანგული ფილოლოგია

- პროგრამის სახელწოდება - დამატებითი (Minor) პროგრამა ფრანგული ფილოლოგია
- სწავლების ენა - ქართული
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - წინაპირობის გარეშე

- პროგრამის მიზანი - ფრანგული ენის სწავლების მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტის კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირება, ანუ ფრანგული ენის გამოყენების შესაძლებლობა, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობის (ყოველდღიური და საქმიანი), ასევე სამყაროს აღქმისა და თავისი კულტურის პოპულარიზაციის საშუალება. კომუნიკაციური ფუნქცია ახდენს სწავლების საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და განმავითარებელი ასპექტების ინტეგრირებას პრაქტიკული კომპონენტის წამყვან როლთან ერთად. "ფრანგული ფილოლოგიის" დამატებითი (Minor) პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება თანამედროვე ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას ფილოლოგიის სფეროში. მთლიანობაში დამატებითი (Minor) პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებასა და კვალიფიკაციის შემდგომი შეცვლის პერსპექტივას. *პროგრამის მიზანია* სტუდენტს შეასწავლოს ფრანგული ენის ასპექტები და ფრანგული ლიტერატურის ისტორია და მისი განვითარების ტენდენციები. ფრანგული ენის თეორიული და პრაქტიკული კურსის წარმატებით განხორციელება მოითხოვს სასწავლო პროცესის წარმართვისა და მისი კონტროლის ოპტიმალური ფორმების შემუშავებას ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების ხერხების და საშუალებების გამოყენებით, რომელთა ერთობლიობამ უნდა უზრუნველყოს სწავლების პროცესის ინტენსიფიკაცია და ენის სწავლების ყველა მიზანთა რეალიზაცია.

- **სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებული დაუფლებულია ფრანგული ენის B1 დონეს, რაც ნიშნავს ენის ცოდნისა და უნარ-ჩვევათა ისეთ მოცულობასა და დონეს, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად, ნორმატიულად, გამართულად და ფუნქციონალურად ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა; იცის ფრანგული ენა, მისი შემადგენელი ერთეულები; იცის ფრანგული ენის ლექსიკური ერთეულების სპეციფიკური თვისებები, თავისებურებები და მახასიათებლები და ერკვევა მათი განვითარების ძირითად ტენდენციებში; კურსდამთავრებულმა იცის ფრანგული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს თანამედროვე ფრანგული ენის პრაქტიკული უნარ-ჩვევები პრაქტიკული გრამატიკის, ფონეტიკის, ანალიზური კითხვის, საშინაო კითხვის, საუბრის ხელოვნების, თემებზე მუშაობის, პრესის ენის, წერის პრაქტიკის სწავლების მეშვეობით. კურსდამთავრებულს შეუძლია ფრანგული ენის პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, ფლობს საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევებს, შეუძლია ფრანგულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, მოსმენა, გაგება, თარგმანი, ანალიზი.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გამომუშავებული აქვს პრობლემათა გადაჭრის ჩვევები; შეუძლია სიახლეების კრიტიკულად შეფასება და ანალიზი, მათი საშუალებით პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესება; სწავლის მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება ფრანგული ფილოლოგიის სფეროში დაგეგმვის, სწავლის პროცესის წარმართვის, შემოწმება-შეფასების, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანისა და ანგარიშის შედგენის კუთხით.

კომუნიკაციის უნარი - აქვს ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე; კრიტიკული აზროვნება, მოცემულ სიტუაციასთან ადაპტირება, ცოდნის ინტეგრირება, ანალიზი და ინტერპრეტაცია, ტექნოლოგიური უნარები - ლინგოფონის კაბინეტში მუშაობა, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მოპოვების, პრეზენტაციისა და კომუნიკაბელურობის უნარ-ჩვევები; ლინგვისტური უნარები -ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ჩამოყალიბებული აქვს აკადემიური წერის უნარ-ჩვევები; არამხატვრული ტექსტის სწორად თარგმნის და რეფერირების უნარ-ჩვევები; შეუძლია ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა; ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტექსტების დამუშავება, სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად გამოყენება, მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება, ინტერნეტის სისტემაში ინფორმაციის მოძიების მეთოდების გამოყენება.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს მასალის შეგროვების, შესაბამისი წყაროების დიფერენცირებისა და შეფასების უნარები; იცის ფრანგული ენის დახვეწის მეთოდები, შეუძლია ბიბლიოგრაფიულ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა, მათი შეგროვება და შემდგომში მოძიებული მასალის გამოყენება.

ღირებულებები - აქვს სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება. ბაკალავრი იცნობს ფრანგული ენისა და ლიტერატურის განვითარების წყაროებს და გაცნობიერებული აქვს თანამედროვე მეთოდები და ღირებულებები; აცნობიერებს ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფორმირების პროცესისათვის აუცილებელ მოსაზრებათა გამოყენებას.

• დამატებითი (minor) პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
1.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 1(A1)	FREN B102	9	95	130				9					წინაპირობის გარეშე
2.	ფრანგული ლიტერატურის ისტორია 1	FREN B114	6	65	85						6			წინაპირობის გარეშე
3.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 2 (A2)	FREN B103	6	65	85					6				FREN B102
4.	ფრანგული ლიტერატურის ისტორია 2	FREN B115	6	65	85							6		FREN B114
5.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 3 (B1-1)	FREN B104	6	65	85						6			FREN B103
6.	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი 4 (B1-2)	FREN B105	6	65	85							6		FREN B104
7.	ფრანგული ლიტერატურის ისტორია 3	FREN B116	6	65	85								6	FREN B115
არჩევითი კურსები - 15 კრედიტი														
არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან									3	6			6	
ს უ ლ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	